



1910-იანი წლებიდან მსოფლიო კინოში მრავალფეროვანი და საინტერესო პროცესები იწყება. რეჟისორები ცდილობენ ამბის თხრობის მარტივ ჩარჩოს გაცდნენ და ახალი გამომსახველობითი ხერხები მოიფიქრონ, მაგალითად, როგორცაა უწყვეტი ჭრა, მონაცვლეობითი მონტაჟი, პარალელური მონტაჟი და სხვა უამრავი სიახლე. 1915 წელი ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. სწორედ ამ წელს საქართველოში პირველი მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ გადაღება იწყება!

„ქრისტინეს“ პრემიერა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების შემდეგ შედგა. ფილმის რეჟისორს, ალექსანდრე წუწუნავას ნამუშევარი საინტერესოა კონკრეტულად ქალი პერსონაჟის გააზრების თვალსაზრისით. 10-იან წლები მსოფლიო კინემატოგრაფში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება, არამარტო კინოენის ევოლუციის, არამედ პერსონაჟების, თემების, სიუჟეტის შერჩევისა და განვითარების თვალსაზრისით. სწორედ 1915 წელს ქმნის ამერიკელი რეჟისორი დევიდ უორკ გრიფიტი თავის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნამუშევარს „ნაციის დაბადება“, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და რეჟისორი რასიზმში დაადანაშაულეს. ფილმში მთავარ როლს ასრულებს ამერიკელი მსახიობი ლილიან გიმი. სწორედ, მის მიერ შექმნილი სასოწარკვეთილი, სუსტი, დაუცველი პერსონაჟიდან მკვიდრედება ე.წ. ჩაგრული ქალის ეკრანული სახე კინოისტორიაში. ქალი პერსონაჟების ეკრანული გააზრების ამგვარი ტენდენცია წარმატებით დაინერგა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის კინემატოგრაფში, მათ შორის ქართულ კინოშიც.

1915 წელს თეატრისა და ოპერის რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა, პირველ ქართველ კინომეწარმე - გერმანე გოგიტიძესთან ერთად, ეგნატე ნინოშვილის მოთხოვნის მიხედვით ფილმ „ქრისტინეს“ გადაღებას იწყებს. 5 ივლისს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაიწერა: „ქრისტინეს“ ეკრანზე გადასაღებად, კინემატოგრაფის ერთმა ცნობილმა ფირმამ მიმართა ალექსანდრე წუწუნავას და ალექსანდრე ახმეტელს, რომელთაც ეს საქმე იკისრეს. ხსენებულ პირთ განუზრახავთ „ქრისტინეს“ სურათები ადგილობრივ გადაიღონ გურიასა და თბილისში, ორთაქალაში.“

ფილმში „ქრისტინე“ ასახულია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები, რევოლუციამდელი გლეხი ქალის ჩაგრული ყოფა: ღარიბ ქრისტინეს აზნაური იასონი შეაცდენს, ოჯახის წევრების შეურაცხყოფისგან სასოწარკვეთილი, სიყვარულში იმედგაცრუებული და დამცირებული გოგონა თვითმკვლელობას გადაწყვეტს, თუმცა ამაშიც „არ უმართლებს“ და თანასოფლელები გადარჩენას მოახერხებენ. ქრისტინე სოფელში ტოვებს ახალშობილ ჩვილს და ახალი ცხოვრების დაწყების იმედით

დედაქალაქში ჩამოდის. ის საროსკიპოში აგრძელებს ცხოვრებას, საბოლოოდ ახალგაზრდა ქალი ავადმყოფობასა და გაჭირვებაში ილუპება.

აღსანიშნავია, რომ ქართული კინოს, საწყისი პერიოდის ფილმების უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციაა. ამას თავის ლოგიკური ახსნა ჰქონდა: რევოლუციური პათოსით შექმნილ ფილმებში, მეფის რუსეთის მჩაგვრელი პოლიტიკა, ადამიანთა უკიდურესი გაჭირვება და უთანასწორობა უნდა ასახულიყო. 1917-დან 1925 წლამდე შექმნილ კინოსურათებში თავადაზნაურობისგან დამცირებული და დაჩაგრული გლეხი კი მთავარ სახე-ხატად იქცა.

ალექსანდრე წუწუნავას "ქრისტინე"-ს პრემიერა 1919 წელს კინოთეატრ „აპოლოში“ შედგა, თუმცა ფილმის შექმნას და მის დასრულებას რთული პერიპეტიები ახლდა თან. გერმანე გოგიტიძე, რომ არა დღეს ფილმი არც იარსებებდა. ფილმზე მუშაობისას გოგიტიძესა და წუწუნავას ჰარმონიული პროფესიული ურთიერთობა სულაც არ ჰქონდათ, პირიქით რეჟისორის - ალექსანდრე წუწუნავას ჯიუტი და ექსცენტრიული ხასიათის გამო, ყოველთვის გოგიტიძეს უწევდა კომპრომისზე წასვლა და თითქმის განწირული გადასაღები პროცესების, ფილმისთვის სასიკეთოდ შემობრუნება.

ერთ-ერთი შემთხვევა „ქრისტინეს“ როლის შემსრულებელ მსახიობს ეხებოდა. გერმანე გოგიტიძე მთავარ როლზე 20 წლის ანეტა ქიქოძის კანდიდატურას განიხილავდა, რომელიც ქრისტინეს როლს თეატრშიც თამაშობდა და მაყურებელში პოპულარული იყო. რეჟისორმა კი მთავარ როლზე 40 წლის მსახიობი ანტონინა აბელიშვილი დაამტკიცა. ნინოშვილის მოთხოვნის მიხედვით ქრისტინე 17-18 წლის გოგონაა, გოგიტიძეს მიაჩნდა მსახიობისა და გმირის ასაკში მკვეთრი სხვაობა, მაყურებლისათვის შესამჩნევი იქნებოდა და რეჟულატატზეც მოახდენდა გავლენას, საბოლოოდ ასეც მოხდა.

მსახიობზე მეტად „ქრისტინეს“ გადაღებებისას პრობლემური ოპერატორის საკითხი გახდა. საქართველოში მაშინ სულ რამდენიმე აპარატი იყო, ამიტომ გოგიტიძემ სამხედრო კავკასიის სამხედრო შტაბის ისტორიული განყოფილების კინოაპარატი ითხოვა ფილმისთვის და პოლკოვნიკ სიმონ ესაძის დახმარებით, ფილმის პირველი ოპერატორი სამხედრო მოხელე ალექსანდრე შუგერმანი გახდა. გურიაში გადაღებების მსვლელობისას გაბრაზებულმა წუწუნავამ შუგერმანი გადასაღები მოედნიდან გააგდო.

თავად რეჟისორი ამ ფაქტს ასე იხსენებს „მე რასაკვირველია, ბუნებას მივაშურე, რადგან არ ვიცოდი მონტაჟის ოსტატობა, ჩემი გადაღებული კადრები გრძელ ეპიზოდებად მიდიოდა და ისიც შორ პლანზე ან მესამე პლანზე. ჩემი ოპერატორი სრულიად უვიცი გამოდგა და ჩემი თხოვნა, რომ ზოგიერთი რამ უფრო მსხვილად გადაეღო უყურადღებოდ დასტოვა. ამაზე ჩვენ დიდი ჩხუბი მოგვივიდა და სოფელ აქში (გურია) ოპერატორი თავისი აპარატით მაღლობიდან ძირს ჩამოვაგორე.“ გერმანე გოგიტიძის ძალისხმევით შუგერმანი ალექსანდრე დიდმელოვით ჩაანაცვლეს,

რომელიც იმ დროს ბელგიელ კინომეწარმე პაველ პირონესთან მუშაობდა. პირონე ამიერკავკასიაში პირველ კინოსტუდიას და რამდენიმე კინოთეატრს ფლობდა.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე წუწუნავამ, ფილმის მხოლოდ რამდენიმე ნაწილი გადაიღო „გადავიღე სამი ნაწილი-ქრისტინეს ქალაქში ჩამოსვლა ნატალიასთან მისვლამდე, მეტი ვერ მოვასწარი. ქალაქის სცენები უჩემოდ იქნა გადაღებული. მე როსტოვსა და ბაქოში დავრჩი 1918 წლის ბოლომდე“. ფილმი საბოლოოდ დაასრულა გერმანე გოგიტიძემ, ფილმის მხატვარი კი დიმიტრი შევარდნაძე იყო.

„ქრისტინეს“ პრემიერა საერო დღესასწაულოდ იქცა. ფილმმა მთელი საქართველო შემოიარა, უჩვენეს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში, იქ სადაც ელექტროენერგია არ იყო, საბარგო მანქანაზე დამონტაჟებული სპეციალური საპროექციო აპარატით უშვებდნენ.

პირველი ქართული მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი „ქრისტინე“ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1920-იანი წლებიდან უკვე ახალი ეპოქა იწყება ქართულ კინოში! იქმნება ქვეყნის მთავარი კინოსტიტუცია „სახკინმრეწვი“ და ქართული კინოპოლიტიკა საბჭოთა რევოლუციურ-იდეოლოგიურ ჩარჩოში ექცევა.